ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №3

ქ. ლანჩხუთი 24.05.2024 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:** საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: ია მოქია, სპარტაკ კვაჭაძე, ვერიკო კვირკველია, ჯუმბერ ბლაგიძე ვლადიმერ ნანაძე და კახა თედორაძე

**მოწვეული პირები:** მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია.** მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **შოთა ჩაგუნავა,** სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის აპრილის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

3. სხვადასხვა საკითხები.

**მომხრე-7, წინააღმდეგი-არცერთი.**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** ,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ". სხდომაზე წარმოდგენილი საკითხის ირგვლივ ისაუბრა მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახური უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ,** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია, მშენებლობის ნებართვის გაცემის დროს ხელმძღვანელობს ,, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის" მე-XII თავისა და ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების შესაბამისად. დადგენილებაში გაწერილია მშენებლობის ის სახეები, რომელზეც მუნიციპალიტეტი გასცემს მშენებლობის ნებართვას, ხოლო კანონში იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალი, რომელიც მშენებლობის ნებართვის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს მშენებლობის ნებართვის მისაღებად. კანონში გაწერილი ზემოაღნიშნული ჩამონათვალიდან, ერთ-ერთ საბუთს წარმოადგენს - სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის ოდენობის

განსაზღვრის მიზნით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებით დამტკიცებული აქვს წესი - „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ". აღნიშნულ წესში არ არის გაწერილი მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი ობიექტის დემონტაჟის სამუშაოების შესასრულებლად, რის გამოც წესი საჭიროებს შესაბამისი ცვლილების ასახვას.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს **მომხრე-7, წინააღმდეგი 0**

**დღის წესრიგის მეორე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის აპრილის თვის შესრულების ანგარიში სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2024 წლის აპრილის თვეში საბიუჯეტო შემოსულობებმა შეადგინა წლიური გეგმის 33,31%-ი, უშუალოდ აპრილის თვის შემოსავლებმა ძშეადგინა 2564432 ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 964667 ლარი; შემოსავლები კაპიტალურის ჩათვლით მიღებულია 1599766 ლარი, მათ შორის დამატებითი ღირებულების სახით მიღებულია 1164111 ლარი, სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 358555 ლარი, აქედან ჯარიმები, სანქციები და საურავების სახით მიღებულია 3211231 ლარი.

2024 წლის აპრილის თვეში გაწეული იქნა 2574621 ლარის ხარჯი. მათ შორის - შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 632917 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 789700 ლარი, აქედან შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 265000-ლარი და ტრანსპორტის მომსახურების ხარჯზე მიმართულია 252091 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 917800 ლარი, სუბსიდიის მუხლით გაიხარჯა 88700 ლარი, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებზე მიმართულია 82200 ლარი. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ საერთო ჯამში, მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსავლების დინამიკა მიმდინარეობა სტაბილურია და აღებული ვალდებულები დაფინანსებით უზრუნველყოფილია.

**საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მოისმინა 2024წლის ბიუჯეტის აპრილის თვის შესრულების ანგარიში.**

**ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.**

**საფინანსო-საბიუჯეტო**

**კომისიის თავმჯდომარე:** **ალექსანდრე მახათაძე**

ქ. ლანჩხუთი 24.05.2024 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №3

2024 წლის 24 მაისს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. ,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის აპრილის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

3. სხვადასხვა საკითხები.

**კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:**

1. ,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მაისის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

2 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის აპრილის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენა.

კომისიამ მოისმინა 2024 წლის ბიუჯეტის აპრილის თვის შესულების ანგარიში

**საფინანსო-საბიუჯეტო**

**კომისიის თავმჯდომარე:** ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

**24.05.2024** წელი
**12:00** საათი

| | სახელი, გვარი | გამოცხადების დრო | ხელმოწერა |
|---|---|---|---|
| 1 | ალექსანდრე მახათაძე | 11 50 | |
| 2 | ია მოქია | 11:50 | |
| 3 | გიორგი ჩახვაძე | არ ესწრებოდა | |
| 4 | სპარტაკ კვაჭაძე | 11–58 | |
| 5 | კახა თედორაძე | 11 55. | |
| 6 | ვლადიმერ ნანაძე | 12 10 | |
| 7 | გიორგი გოგუაძე | არ ესწრებოდა | |
| 8 | ვერიკო კვირკველია | 12.30 | |
| 9 | ჯუმბერ ბლაგიძე | 12. 15 | |